



# საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო



KA011811337928813

საქართველო, თბილისი 0154, აკ. წერეთლის გამზ. № 67ა; ტელ: (+995 32) 2 40 10 10 , ფაქსი:(+995 32)2-35-79-18, ცხელი ხაზი:  
(+995 32)2-40-40-20, ელ.ფოსტა:info@psda.gov.ge, ვებ-გვერდი:www.psd.gov.ge

10 / დეკემბერი / 2013 წ.

N 01/255083

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,  
ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს პრეზიდენტს,  
ბატონ გიორგი მარგველაშვილს

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,  
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგინებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2013 წლის ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ:

ა) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში 2013 წელს, 10 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოსულია 124 განცხადება.

რაც შეეხება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2013 წლის განმავლობაში მსგავსი მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

ბ) 2013 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში შემოსული განცხადებებიდან,

1. საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 97 შემთხვევაში;
2. 2 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
3. 8 განცხადება განხილვის პროცესშია;
4. 17 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი - ნინო დანელია.

გ) დანართის სახით წარმოგიდგენთ იმ დაწესებულებების ნუსხას, რომელთაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებისა და „ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტროს საკონსულტო დეპარტამენტში არსებული მონაცემებით სარგებლობის, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების მიზნით აღნიშნული მონაცემების გაცემისა და გაცვლის წესის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შინგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №40-N61-N222 ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის განმავლობაში მიეწოდება/მიეწოდებოდათ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემები.

დ) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის 7 შემთხვევა. შესაბამისი დარღვევისათვის დისციპლინური სახდელი გამოეცხადა 5 პასუხისმგებელ პირს.

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.


ვ) სააგენტოს გადაწყვეტილებები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ გასაჩივრებულა.

ზ) სააგენტოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასთან და გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა.

დანართი: 2 ფურცელი.

პატივისცემით,

სახელმწიფო სერვისების განვითარების  
სააგენტოს თავმჯდომარე



ლევან სამადაშვილი